



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის  
დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

9 თებერვალი, 2026 წელი

თბილისი

## შინაარსი

I.	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი.....	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	13
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	16
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	18
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	23

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი, შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქავთარია, კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ხელოვნებათმცოდნეობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Art History
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული, გადაწყვეტილება N71, 26.03.2019
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

<p>შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)</p>	
<p>დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა</p>	-

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის მიერ განხორციელებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა“. არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დაუსწრებლად, ადგილზე ვიზიტის გარეშე და დაეფუძნა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) და მოიცავს 240 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (138 ECTS), სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს (42+42 ECTS), პრაქტიკის კომპონენტს (6 ECTS), საბაკალავრო ნაშრომს (12 ECTS), თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები (24/18 ECTS) და დამატებითი პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები (60 ECTS).

პროგრამის სწავლების ენაა ქართული, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია – **ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი**. პროგრამა მიეკუთვნება დეტალურ სფეროს 0213.1.5 – ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან

პროგრამა აკრედიტებულია შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილებით (№71, 26.03.2019) და მისი აკრედიტაციის ვადა იწურება 2026 წლის 26 მარტს. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილია საქართველოს უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77. ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კვალიფიციური, ფართო ჰუმანიტარული და დარგობრივი კომპეტენციების მქონე ხელოვნებათმცოდნის მომზადება, რომელიც აღჭურვილია როგორც თეორიული ცოდნით, ისე პრაქტიკული უნარებით. პროგრამა ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ, ინტერდისციპლინურ სწავლებას და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც უზრუნველყოფს

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები, პრაქტიკის კომპონენტი და საბაკალავრო ნაშრომი.

პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას: ძირითადი სპეციალობის ფარგლებში აირჩიოს საგანთა კონცენტრაცია კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში ან შეარჩიოს დამატებითი სპეციალობა, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულის პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი ადგილზე არ განხორციელებულა. მონიტორინგი ჩატარდა დაუსწრებლად, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, და დაეფუძნა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფილ ანალიზს.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული შემდეგი მასალები: ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განახლებული პროგრამა; თვითშეფასების ანგარიში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის შესახებ; სასწავლო გეგმა და სილაბუსები; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები და მათი შეფასების მექანიზმები; ადამიანური და მატერიალური რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები და ა. შ.

დოკუმენტების შეფასების პროცესში ექსპერტებმა გააანალიზეს წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ და პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით.

ვინაიდან მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურ ფორმატში და არ ითვალისწინებდა ადგილზე ვიზიტს, ექსპერტთა შეფასება ეფუძნება მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსს, სტრუქტურას, წარმოდგენილი მტკიცებულებების სისწორესა და სანდოობას.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია

პირველი სტანდარტის 1.1, 1.2, 1.4 და 1.5 კომპონენტებთან, ხოლო 1.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მე-3 და მე-5 სტანდარტის, ასევე 4.2 და 4.5 კომპონენტების შეფასება არ განხორციელებულა.

#### ▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ცხადად ასახავდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობას და სამიზნე ნიშნულებს თითოეულ შესაფასებელ ნიშნულთან მიმართებით, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით;
- რეკომენდებულია პერსონალის რეზიუმეების განახლება და პუბლიკაციების ასახვა.

#### ▪ რჩევები

- სასურველია პროგრამა მოიცავდეს ინფორმაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში განსაზღვრული ჩასაბარებელი საგამოცდო საგნებისა და მინიჭებული კოეფიციენტების შესახებ.

#### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა დაუსწრებლად და დაეფუძნა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სულ იკითხება 37 სასწავლო კურსი (აქედან სპეციალობის 23-ია), მათ შორის სავალდებულო, საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევით, სპეციალობის არჩევით და კონცენტრაციის ან დამატებითი სპეციალობის საგნებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 39 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის:

- აკადემიური პერსონალი – 19  
მათ შორის:
  - პროფესორი – 11
  - ასოცირებული პროფესორი – 8
- აფილირებული აკადემიური პერსონალი – 18  
მათ შორის:
  - აფილირებული პროფესორი – 11
  - აფილირებული ასოცირებული პროფესორი – 7
- მოწვეული პერსონალი – 20

აკადემიური და აფილირებული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა ფლობს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც სრულ შესაბამისობაშია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ: აკადემიური/აფილირებული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ განხორციელებას და დარგობრივი ექსპერტიზის სათანადო ჩართულობას; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა საკმარისია სასწავლო კომპონენტების სრულფასოვანი განხორციელებისა და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის.

პროცენტული განაწილება (საერთო ჯამში 57 პერსონალის გათვალისწინებით):

აკადემიური პერსონალი – დაახლოებით 33%;

აფილირებული აკადემიური პერსონალი – დაახლოებით 32%;

მოწვეული პერსონალი – დაახლოებით 35%;

აკადემიური და აფილირებული პერსონალის თანაფარდობა კი ასეთია:

აკადემიური პერსონალი – დაახლოებით 51%;

აფილირებული აკადემიური პერსონალი – დაახლოებით 49%.

წარმოდგენილი თანაფარდობა აჩვენებს, რომ: პროგრამის განხორციელება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოწვეულ პერსონალზე; აკადემიური და აფილირებული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს პროგრამის ძირითად ბირთვს; შესაბამისად, აკადემიური და აფილირებული აკადემიური პერსონალის ჯამური რაოდენობა (37) აჭარბებს მოწვეული პერსონალის რაოდენობას (20), რაც სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

მოწვეული პერსონალის ჩართულობა მიზანმიმართულია და ემსახურება დარგობრივი სპეციალიზაციისა და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებას.

აკადემიური და აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პრაქტიკულად ბალანსირებულია, რაც მიუთითებს პროგრამის განხორციელებაში მუდმივად ჩართული პერსონალის სტაბილურობაზე. აღნიშნული თანაფარდობა სრულ შესაბამისობაშია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

არააგემიური მონიტორინგის ფარგლებში (დაუსწრებლად, მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე) შეფასდა პროგრამაში ჩართული აკადემიური/აფილირებული/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა ბოლო 5 წლის პერიოდში (2021–2025). შეფასების წყაროს წარმოადგენდა პერსონალის ინდივიდუალური CV-ები და შესაბამისი დამადასტურებელი მასალები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი აქტივობა ბოლო 5 წლის პერიოდში დოკუმენტურად დასტურდება და მოიცავს როგორც საერთაშორისო ინდექსირებულ პუბლიკაციებს, ისე საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში ჩართულობას და სხვა კვლევით აქტივობებს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიშნებულია, რომ გეგმიურად მიმდინარეობს პერსონალის განახლების პროცესი.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

წარმოდგენილ დოკუმენტებში სტუდენტთა რაოდენობა მითითებული არ იყო.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>4</sup>

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. უსდ-ს ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის განვითარების საბჭო დააკორექტირებს კურიკულუმის რუკაზე ასახული შედეგების ორ კომპონენტს ARTS4137 პრაქტიკა ხელოვნებათმცოდნეობაში და ARTS4240 საბაკალავრო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობაში; ასევე გაანახლებენ პერსონალის CV-ებს. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.<sup>a</sup>

---

<sup>4</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.



### III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია
1.1	<a href="#">პროგრამის მიზნები</a>	შესაბამისობაშია
1.2	<a href="#">პროგრამის სწავლის შედეგები</a>	შესაბამისობაშია
1.3	<a href="#">პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</a>	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	<a href="#">საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</a>	შესაბამისობაშია
1.5	<a href="#">სასწავლო კურსი/საგანი</a>	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია
2.1	<a href="#">პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</a>	შესაბამისობაშია
2.2	<a href="#">პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</a>	შესაბამისობაშია
2.3	<a href="#">სწავლება-სწავლის მეთოდები</a>	შესაბამისობაშია
2.4	<a href="#">სტუდენტების შეფასება</a>	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	<a href="#">სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები</a>	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	<a href="#">მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა</a>	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	<a href="#">ადამიანური რესურსი</a>	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	<a href="#">მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</a>	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	<a href="#">აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</a>	მეტწილ შესაბამისობაშია
4.4	<a href="#">მატერიალური რესურსი</a>	შესაბამისობაშია
4.5	<a href="#">პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</a>	აირჩიეთ შესაბამისი
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	აირჩიეთ შესაბამისი

5.1	<a href="#">შიდა ხარისხის შეფასება</a>	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	<a href="#">გარე ხარისხის შეფასება</a>	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	<a href="#">პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</a>	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე  
შეფასების კრიტერიუმები

**განმარტებები:**

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში არ შეცვლილა ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, თუმცა შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 26 მარტის #71 გადაწყვეტილების შესაბამისად აკრედიტებული პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახლდათ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი (0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია/ხელოვნებათმცოდნეობა), თუმცა პროგრამის მიზნები არ შეცვლილა.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია კვალიფიციური, შესაბამისი პროფესიული კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე ხელოვნებათმცოდნის მომზადებით ხელი შეუწყოს ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, შენარჩუნებასა და წარმოჩენას. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, ინტერდისციპლინურ სწავლებას და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რომელიც მიმართულია დარგის თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივის გაზრდაზე, რაც გამოიხატება სწავლება-სწავლის მეთოდების ფოკუსირებით პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტითა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიმართ.

კვალიფიკაციას, ესადაგება სწავლების საფეხურის, სწავლის სფეროსა და პროგრამის საჭიროებებს, ასევე, ასახავს დარგის სპეციფიკას, ძირითად ტენდენციებს, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურდამთავრებულთა კომპეტენციებს.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:  
[https://online.ug.edu.ge/programs/programs\\_full.php?programID\[\]=6105;](https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=6105)
- სილაბუსები.

### რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.1 პროგრამის მიზნები</a>	შესაბამისობაშია

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში, პროგრამის სწავლის შედეგები მოდიფიცირდა და აისახა კომპლექსურ, ფართო ჰუმანიტარულ ცოდნასა და ხელოვნებათმცოდნეობის სფეროსთვის აუცილებელი სპეციფიკურ ცოდნა და უნარები.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას. ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ახასიათებს ხელოვნების უძველესი ნიმუშების, მათ შორის ქართული ლითონმქანდაკელობის აღმოცენებისა და განვითარების ზოგად ისტორიას, მხატვრულ ნიმუშებს და დამახასიათებელ/ ურთიერთგანმასხვავებელ ნიშან-თვისებათა გაგება-გაანალიზების პრინციპებს; ხელოვნების ნიმუშთა იდენტიფიცირების (ამა თუ იმ ხალხისა და ეპოქისადმი მიკუთვნებულობის) და მხატვრული ანალიზის პრინციპებს; ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ძეგლებს და შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების განვითარების ისტორიასა და საეტაპო ნიმუშებს; მსოფლიოს სხვადასხვა ცივილიზაციების დამახასიათებელ და ურთიერთგანმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ძველ, შუა საუკუნეებში, ახალ და უახლეს ხანაში;
- ასახელებს და განმარტავს მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ყველა ძირითადი ეტაპობრივი მხატვრული მიმდინარეობის (პრეისტორიული, ანტიკური, შუასაუკუნეები, რომანული, გოთიკური, რენესანსი, ბაროკო, როკოკო, ნეოკლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი) და ცალკეული ეპოქებისა (აღორძინების ხანა, შუა საუკუნეები, თანამედროვე ეპოქა) და რეგიონების/ქვეყნების (ახლო აღმოსავლეთი, საქართველო, დასავლეთ ევროპა და ამერიკა, შორეული აღმოსავლეთი-ჩინეთი, იაპონია და სხვა) კულტურული მიღწევების ნიმუშთა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების ძირითად კრიტერიუმებსა და მახასიათებლებს; საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს (ბრძოლები, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, ცვლილებები და /ან რეფორმები ქვეყნის პოლიტიკურ ან კულტურულ ცხოვრებაში) ქრონოლოგიურად ალაგებს მათ და ახდენს მათ სინქრონიზაციას; ქართული სალიტერატურო ენის რაობასა და არსს; მის განმსაზღვრელ ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ პირობებს; ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის საკითხებს; ენის ნორმალიზაციის ისტორიას, ნორმათა დადგენის მეთოდებსა და პრინციპებს;
- იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში ან სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილეობისას; ახორციელებს, სფეროსთვის რელევანტური (პერიოდის, მასალის ხასიათის გათვალისწინებით) კვლევის მეთოდის შერჩევას/ გამოყენების გზით, ხელოვნების ნიმუშის და/ან კულტურული არტეფაქტის

იდენტიფიცირება/კლასიფიცირებას და დასკვნის ან აღწერილობითი ანგარიშის (წერილობითი და ზეპირი) მომზადებას; იყენებს ხატვის საფუძვლების ცოდნას არტეფაქტების გრაფიკული ფიქსირებისას; ხელოვნების ძეგლის კვლევისას ახორციელებს სხვადასხვა ტიპის (ხელოვნებათმცოდნეობითი, არქეოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული) ინფორმაციის სისტემატიზაციას, ანალიზს და მიღებული შედეგების განზოგადებას;

- მსჯელობს ხელოვნების ნიმუშების ან ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით სპეციალისტებთან ან დაინტერესებულ პირებთან და ანალიზებს განსხვავებული სამეცნიერო ენით/სტილით შექმნილ ნაშრომებს, ტერმინებს, დამოუკიდებლად იძიებს მისთვის საჭირო მასალას/ინფორმაციას.
- შეარჩევს ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევისთვის რელევანტური პრობლემას, დაგეგმავს და განახორციელებს მცირე კვლევა და მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებით და შერჩეული არტეფაქტების/ხელოვნების ნიმუშების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე მოამზადებს საბაკალავრო ნაშრომს;
- განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ითვალისწინებს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას (ზეპირი კომუნიკაციის, ტექსტის გააზრებისა და ინტერპრეტაციის პროცესში), მარტივი ტექსტის თარგმანს ერთ-ერთი კლასიკური ენის (ძველი ბერძნული, ან ლათინური) საბაზო ცოდნის გამოყენებით და სახელმწიფო ენის სავალდებულო კურსით განსაზღვრული ცოდნის მიღებას.

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, არის მიღწევადი და ფორმულირებული აქტიური ზმნებით. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგში პროფესიით დასაქმების მოთხოვნებთან და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები.

### **რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</a>	შესაბამისობაშია

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნებათმცოდნეობა“ ითვალისწინებს სწავლების შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი - ფორმალური, ასევე არაპირდაპირი - არაფორმალურ შეფასების სისტემას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იდენტიფიცირდება - პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის რუკის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტისა და სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების დოკუმენტის საფუძველზე. სწავლის შედეგების მიღწევის რუკა განსაზღვრავს პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტის მიმართებას პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ასევე, თვითშეფასების ანგარიშისა და დანართებში ასახული ინფორმაციის თანახმად, უსდ იყენებს პროგრამის თითოეული მიზნისთვის შედეგების მიღწევის მტკიცებულებებისა და მათი მიღწევის შემფასებლების განსაზღვრის პრაქტიკას. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შეფასების პროგრამის კომპონენტი, რომლითაც ხდება შედეგის შეფასება, თუმცა შეფასების მეთოდების პარალელურად, არ არის განსაზღვრული შეფასების ზღვარი, დაგეგმილი სამიზნე ნიშნული. მსევე, პროგრამის უმეტესი სწავლის შედეგი არ ფასდება იმ სასწავლო კომპონენტებში, რომლებშიც ძირითადად ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება - ასეთ კომპონენტებს განეკუთვნება ARTS4137 პრაქტიკა ხელოვნებათმცოდნეობაში და ARTS4240 საბაკალავრო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობაში.

სწავლების შედეგების შეფასების პერიოდულობასა და სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებული ინფორმაციის იდენტიფიცირება, პროგრამის შედეგების მიღწევის სისტემატური კონტროლის,

მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნებოდა. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მართალია ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს მეტწილად ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, თუმცა, არ არის ცხადი აღნიშნულის შემუშავებასა და გაცნობაში რა ფორმით მონაწილეობენ გარე დაინტერესებული მხარეები, როგორებიცაა დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და ა.შ.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://online.ug.edu.ge/>.

### რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ცხადად ასახავდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობას და სამიზნე ნიშნულებს თითოეულ შესაფასებელ ნიშნულთან მიმართებით, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობამ აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე და ეფუძნება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის მოთხოვნებს. სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება ECTS სისტემას; ის არის სტუდენტზე ორიენტირებული და ეფუძნება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია (8 სემესტრი); პროგრამის მოცულობა 240 ECTS-ია, რომელიც ასე ნაწილდება: ა) კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში საგანთა კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში: • კომპეტენციის მაფორმირებელ სავალდებულო საგნებს - 138 ECTS ( მათ შორის ინგლისური ენა B 2/2 6 ECTS და სავალდებულო არჩევით კლასიკურ ენას- 6 ECTS); საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევითი ბლოკების 24 ECTS (12 ECTS სოციალურ/ჰუმანიტარული ბლოკიდან და 12 ECTS STEAM ბლოკიდან), სპეციალობის არჩევით საგნებს-18 ECTS; • თავისუფალ კრედიტს 18 ECTS; • საგანთა კონცენტრაციას კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში - 42 ECTS. ბ) დამატებითი სპეციალობის არჩევის შემთხვევაში: კომპეტენციის მაფორმირებელ სავალდებულო საგნებს- 138 ECTS (მათ შორის ინგლისური ენა B 2/2 6 ECTS და სავალდებულო არჩევით კლასიკურ ენას - 6 ECTS); საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევითი ბლოკების 24 ECTS (12 ECTS სოციალურ/ჰუმანიტარული ბლოკიდან და 12 ECTS STEAM ბლოკიდან), თავისუფალ კრედიტს 18 ECTS; • დამატებით სპეციალობის საგნებს 60 ECTS.

თვითშეფასების დასკვნის ანგარიშიდან ჩანს, რომ ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას დაემატა საუნივერსიტეტო-სავალდებულო კურსების ორი ბლოკი - STEM და სოციალურ/ჰუმანიტარული ბლოკები; ამდენად. პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია მკაფიო ლოგიკური თანმიმდევრობით: საწყის სემესტრებში წარმოდგენილია ზოგად ჰუმანიტარული და საბაზისო დარგობრივი კურსები (მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი, ცივილიზაციები და კაცობრიობის განვითარება, სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი და სხვ), რაც ქმნის აუცილებელ თეორიულ საფუძველს შემდგომი დარგობრივი სპეციალიზაციისთვის.

პროგრამის შუა ეტაპზე სასწავლო გეგმა ინტენსიურად არის ორიენტირებული დარგობრივ ცოდნაზე და მოიცავს ხელოვნების ისტორიის ქრონოლოგიურ და რეგიონულ მოდულებს (ქართული ხელოვნების ისტორია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება, ისლამური ხელოვნება, შორეული აღმოსავლეთის ხელოვნება, აღორძინების ეპოქის ხელოვნება, თანამედროვე ქართული და დასავლეთ ევროპული ხელოვნება). აღნიშნული კურსები უზრუნველყოფს ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ფართო

დარგობრივი ცოდნის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს სტუდენტის უნარს, გაანალიზოს ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ, სტილისტურ და კულტურულ კონტექსტებში.

პროგრამის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ და მეთოდოლოგიურ კომპონენტებს, მათ შორის არტეფაქტების მხატვრული ანალიზის საფუძვლებს, ხატვას, პრაქტიკას ხელოვნებათმცოდნეობაში და საბაკალავრო ნაშრომს. აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, კვლევითი უნარების განვითარებასა და დამოუკიდებელი აკადემიური მუშაობის უნარის ჩამოყალიბებას, რაც პირდაპირ უკავშირდება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს „უნარისა“ და „პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის“ მიმართულებით.

დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები ფორმულირებულია აქტიური ზმნების გამოყენებით და ასახავს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის კომპონენტებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის შედეგები უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი სწავლის შედეგების მატრიცებით, სადაც მკაფიოდ იკვეთება კავშირი სწავლის შედეგებსა და სასწავლო კომპონენტებს შორის.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალური აკადემიური ინტერესების გათვალისწინებას დამატებითი აკადემიური ტრექტორიების შეთავაზების გზით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს საგანთა კონცენტრაცია კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში ან დამატებითი სპეციალობა, რაც აფართოებს მის პროფესიულ პროფილს და აძლიერებს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შინაარსისა და აკადემიური იდენტობის დარღვევის გარეშე.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა შეფასებით, ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრთან - და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტის 1.4 კომპონენტის მოთხოვნებს.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“;
- ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების გეგმა;
- პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი;
- [https://online.ug.edu.ge/programs/programs\\_full.php?programID\[\]=6105](https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=6105)

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</a>	შესაბამისობაშია

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა აკმაყოფილებს კომპონენტის მოთხოვნებს, სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების უმრავლესობა დაგეგმილია 6 ECTS კრედიტის მოცულობით, რაც შეესაბამება ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) მოთხოვნებს და გულისხმობს სტუდენტის მიერ დაახლოებით 150 საათის სასწავლო დატვირთვას თითოეულ კურსზე.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის აუცილებელ გავლას; ასევე სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს მომიჯნავე სფერო - საგანთა კონცენტრაცია კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში და მიიღოს ცოდნა ისეთი მიმართულებით, როგორცაა აუქციონებისა და საერთაშორისო ანტიკვარული ბაზრის მართვის პრინციპები, არტ მენეჯმენტი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალი და სხვ. დატვირთვა სილაბუსებში გაწერილია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოს ადეკვატური განაწილებით და შეესაბამება კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სიღრმესა და მოცულობას. გამონაკლისს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომი (12 ECTS), რომლის გაზრდილი კრედიტული მოცულობა ასახავს დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის მაღალ ინტენსივობას.

სილაბუსების დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ თითოეული სასწავლო კურსის:

- მიზანი;
- სწავლის შედეგები;
- შინაარსობრივი ბლოკები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან და ლოგიკურად გამომდინარეობს კურსის აკადემიური დანიშნულებიდან.

ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები (მაგალითად: *მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია, შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება, ისლამური ხელოვნება, შორეული აღმოსავლეთის ხელოვნება, აღორძინების ეპოქის ხელოვნება, თანამედროვე ქართული და დასავლეთ ევროპული ხელოვნება და სხვ.*)

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და თემატური პრინციპების კომბინაციით.

აღნიშნული კურსების შინაარსი მიმართულია: ხელოვნების ნიმუშების იდენტიფიცირებისა და კლასიფიცირების უნარის ჩამოყალიბებაზე; სტილისტური, ისტორიული და მხატვრული ანალიზის მეთოდების გამოყენებაზე; ხელოვნების ნიმუშების განხილვაზე ფართო კულტურულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტებში.

